ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა მეგრელიძე

წევრები:

ა) ნინო კახიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ბ) მიმოზა ღოლიჯაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

გ) თეა ბარამაშვილი - დარგის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 248417529

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის №759490 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და „გრაფიკული დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 10 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლაში. პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის მისია, ხედვა, სტრატეგიული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია, მზაობა და სამუშაო დატვირთვა. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად ახორციელებენ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებას. პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (B გარემო) საჭიროებს შესაბამის აღჭურვასა და მოწყობას სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია-ბიოლოგიის ცალკე) საჭიროებს განრიგის განსაზღვრას და დაზუსტებას, თუ რა პერიოდში განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპონენტები. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული აქვს -კალათბურთი და ფრენბურთი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტურად წარიმართოს სწავლება. რეკომენდებულია დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლამ შეადგინოს საგაკვეთილო განრიგი, რითაც პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისით სარგებლობის უფლება.
პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპისათვის, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მხარდაჭერის, დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის კარიერული სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, შესაბამისად, რეკომენდებულია შესაბამისი ფუნქციის მქონე პირების მეთოდოლოგიური გადამზადება ამ მიმართულებით. ამასთან, პროცესების ეფექტურად მართვისათვის სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, იკითხება, რომ სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით.
ექსპერტების ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
გრაფიკული დიზაინი	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 და 4.1 პუნქტის შესრულება;

ინდიკატორი 4.1.2.2 - დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, გადახედოს შინაგანაწესს, უზრუნველყოს მასში საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული უახლესი ცვლილებების ასახვა, დოკუმენტში გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, განახორციელოს დოკუმენტში პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, განსაზღვროს იმ მასწავლებლების მაქსიმალური კვირეული სამუშაო დატვირთვა, რომლებიც ითავსებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს (მაგალითად შეზღუდოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იმგვარად, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა მოახერხონ თავიანთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული ფუნქცია-მპოვალეობების სრულყოფილად განხორციელება). ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

ინდიკატორის 4.1.2.3 -დაწესებულებამ გადახედოს ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვროს არსებული რესურსის გათვალისწინებით, მაგალითად ხარისხის მართვის მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოიღოს მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნა, დარგის სპეციალისტებს მისცეს საშუალება, რომ კვალიფიკაცია პორტფოლიოს საშუალებით დაუდასტურდეთ, ან გადაამზადოს არსებული კადრები (შეიმუშაოს დასაქმებულთა გადამზადების გეგმა) სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად ან უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების გადამზადება გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორი 2.2.1.4 - წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, მოამზადოს/გადაამზადოს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების თემატიკის და პროგრამაში მითითებული გრაფიკული პროგრამების ცოდნის გაღრმავების მიმართულებით.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.2 *- დაწესებულების მიერ განსაზღვრული მისია არის საკმაოდ ვრცელი. კარგად ფორმულირებული მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი და ხაზს უსვამდეს ორგანიზაციის იდენტობას და, რაც მთავარია,საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე იყოს ორიენტირებული (სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 2020 წლის ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებული დეტალური რეკომენდაციები). აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზების მიზნით, სასურველია, რომ ზსდ-მ კიდევ ერთხელ გადახედოს მისიას და უზრუნველყოს მისი ლაკონურად, მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელიც იქნება მამოტივირებელი და ხაზს გაუსვამს დაწესებულების იდენტობას.*

ინდიკატორი 1.1.1.3 *- მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების ხედვა და ღირებულებები უნდა გამომდინარეობდეს მისიიდან, დაწესებულების მიერ ინდიკატორი 1.1.1.2-ის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, სასურველია, რომ დაწესებულებამ ხედვა და ღირებულებები მოიყვანონ შესაბამისობაში შეცვლილ მისიასთან. მისია, ხედვა და ღირებულებები დაწესებულებამ უნდა განაახლოს ერთმანეთთან სინქრონიზებულად. იმისთვის, რომ თავიდან აირიდოს ჩანაწერებს შორის კოლიზიის რისკი.*

ინდიკატორის 1.1.1.4 *- დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა ვებ. გვერდზე განთავსება.*

ინდიკატორი 3.1.1.4 *დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.

ინდიკატორი 4.1.2.2 *- გადახედოს დოკუმენტს, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები, დოკუმენტს დაუმატოს სარჩევი, თავფურცელზე დაამატოს დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და სხვა საჭირო რეკვიზიტები, ასევე დააკონკრეტოს იმ პლატფორმის მისამართი, რომელზეც აცხადებს ვაკანსიებს მასწავლებლების მოზიდვის მიზნით. .*

ინდიკატორი 2.1.1.1. *- მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს შისწავლოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები.*

ინდიკატორი 2.4.1.1*- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში ცვლილების შესახებ.*

ინდიკატორი 2.4.1.6 *პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. დაწესებულების მიერ 2025 წელს განახლდა მისია, ხედვა და ღირებულებები. ცვლილება ზსდ-მ განახორციელა პსდ-ს ავტორიზაციის გავლასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების მიზნებთან შესაბამისობის მიზნით. ზსდ-ს მისია არის „…განვახორციელოთ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამა, რომლის განხორციელებით სკოლა ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაში. შევთავაზებთ მრავალპროფილურ საგანმანათლებლო საქმიანობას და პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. მომხმარებლებისათვის მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობებს რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების ზრდას…". აღნიშნული მისია ეხმაურება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 1.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას მისიით განსაზღვრული აქვს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან. დაწესებულება ამ ეტაპზე განახორციელებს ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „გრაფიკული დიზაინი", მიუხედავად ამისა, ზსდ თავისი მისიის ფარგლებში გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილავს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასაც, შესაბამისად გააზრებული აქვს ის, რომ იგი არ არის მონოპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება და სამომავლოდ შესაძლოა განახორციელოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს „შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების ზრდას". დაწესებულება მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაონის სოფელ თხილნარში. მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, დაწესებულებას გააზრებული აქვს მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა ამ სოფლის ერთადერთი დაწესებულებაა, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია განათლების მიღება. ამ მიმართულებით დაწესებულება გამოიჩევა სხვა **ზსდ-ებისგან. აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორის 1.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** <u>თუმცა, დაწესებულების მიერ განსაზღვრული მისია არის საკმაოდ ვრცელი. კარგად ფორმულირებული მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი და ხაზს უსვამდეს ორგანიზაციის იდენტობას და, რაც მთავარია,საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე იყოს ორიენტირებული (სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 2020 წლის ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებული დეტალური რეკომენდაციები). აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზების მიზნით, სასურველია, რომ ზსდ-მ კიდევ ერთხელ გადახედოს მისიას და უზრუნველყოს მისი ლაკონურად, მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელიც იქნება მამოტივირებელი და ხაზს გაუსვამს დაწესებულების იდენტობას.</u>

3. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. ზსდ საკუთარი ხედვით აცხადებს: „…სკოლის ხედვაა 2030 წლისთვის პროფესიული სწავლების მიმართულებით, გახდეს რეგიონში წარმატებული დაწესებულება, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზებით, ხელს შეუწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარიერულ წინსვლას და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრებით". მისიიდან გამომდინარე საკუთარ თავს სამომავლო პერსპექტივაში მოიაზრებს, როგორც რეგიონში წარმატებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის ორიენტირიც იქნება ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის. ზსდ-ს მიერ შემუშავებული ხედვა შეესაბამება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიზნებს, ასევე შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების" მე-2 მუხლთან (მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი). დაწესებულების მიერ შემუშავებული ხედვა არის თვლადი, გაზომვადი. დაწესებულებას ასევე მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული აქვს ღირებულებებიც, როგორებიცაა გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 1.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** <u>მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების ხედვა და ღირებულებები უნდა გამომდინარეობდეს მისიიდან, დაწესებულების მიერ ინდიკატორი 1.1.1.2-ის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, სასურველია, რომ დაწესებუ:ლებამ ხედვა და ღირებულებები მოიყვანონ შესაბამისობაში შეცვლილ მისიასთან. მისია, ხედვა და ღირებულებები დაწესებულებამ უნდა განაახლოს ერთმანეთთან სინქრონიზებულად. იმისთვის, რომ თავიდან აირიდოს ჩანაწერებს შორის კოლიზიის რისკი.</u>

4. ზსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დაწესებულებამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების ცვლილების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების ბრძანება, 2025 წლის 3 ივნისის №01-02/6. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ დირექტორი, მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ განახოეციელა შეხვედრები მოსწავლეებთან და სტუდენტებთან, გააცნო მათ განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები და მოისმინა მათი უკუკავშირი. დაწესებულებას საკუთარი მისია საჯაროდ აქვს განთავსებული ვებ გვერდზე: www.skolebi.emis.ge, თუმცა ვებ. გვერდზე ჯერ არ არის განთავსებული განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 1.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** <u>მიუხედავად ამისა, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა ვებ. გვერდზე განთავსება.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია;
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
3. დაინტერესებულ მხარეებთან (დასაქმებულებთან) ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზსდ-ს შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებითაც უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტუდენტის უფლებები და მოვალეობები“ დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №01-02/7 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პროფესიული სტუდენტის ზოგად უფლება-მოვალეობებს, პროფესიული სტუდენტის წახალისებას და დისციპლინური წარმოების შესასებ საკითხებს. პროფესიული სტუდენტის ცალკეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფლებები დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-02/7 2025 წლის 9 ივნისს). დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაინტერესებულ პირთა კონსულტირების პროცედურა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, აპლიკანტის უფლებები, პროფესიული სტუდენტის მიერ ზსდ-ში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, პროფესიულ სტუდენტთან ან და მის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესი, მობილობის წესი, კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურა, ასევე გათვალისწინებულია სტუდენტთან კომუნიკაციისა და სტუდენტის ინფორმირებულობის ნაწილიც. დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტებში რეგულირებული საკითხები არ დუბლირდება და არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 3.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება იცნობდნენ და იყენებდნენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. ზსდ-ს პროფესიული სტუდენტების უფლებების ამსახველი რეგულაციები განთავსებული აქვს ვებ. გვერდზე: www.skolebi.emis.ge. ზსდ პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალურ ქსელს, ვებ. გვერდებს, შენობის ღია სივრცეს, საინფორმაციო დაფებს, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებებს, ზეპირი კომუნიკაციის გზებს აუდიტორიებში ან/და შეხვედრების ორგანიზებას. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ზსდ დადებითი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით სტუდენტთან კომუნიკაციის პროცესში აქტიურად რთავს ყველა თანამშრომელს მათი კომპეტენციის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტები თავიანთი უფლება-მოვალეობის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ ხელშეკრულების გაფორმების პროცესშიც, ვინაიდან ხელშეკრულებაში დეტალურად არის განხილული მისი უფლებები, ასევე ზსდ აკეთებს მითითებას მარეგულირებელ წესებზე, რომლებშიც გაწერილია სტუდენტის კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაცია (როგორებიცაა სტატუსის შეჩერება/აღდგენა, მობილობა, შეფასების შედეგის გასაჩივრება და სხვა). სტუდენტის მიერ ცალკეული უფლებით სარგებლობის მოთხოვნის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების რეაგირების ვადები განსაზღვრულია მარეგულირებელი დებულებით, რომელშიც კონკრეტულ საკითხთან მითითებით ჩაშლილია სკოლაში განსახორციელებელი ქმედებების თანამიმდევრულობა, მაგალითად სააპელაციო განაცხადს დაწესებულება განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციას რეესტრში ასახავს კანონით დადგენილ ვადაში (არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა) და სხვა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 3.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებინ რომლებიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების" 47.20 პუნქტში, რომელიც განსაზღვრავს შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურას, კერძოდ თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება ან/და შეფასების პროცესის მიმდინარეობა არასამართლიანად ჩათვალა, მან შეფასების შედეგების გაცნობიდან ან/და შეფასების განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა მიმართოს დირექტორს და მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების ხელმეორედ ჩატარება ან შეფასების გადასინჯვა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი საჩივრის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის/პრეტენზიის/პრაქტიკული შეფასების შედეგების განხილვას პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეხვედრაზე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, დირექტორის ბრძანებით 1 სამუშაო დღის ვადაში იქმნება სააპელაციო კომისია. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და შეძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხოლო ამავე დებულების 47.2 პუნქტით კი განსაზღვრულია შეფასების სახეები და პროცედურა. **აღნიშნული წესი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება საჯარო წყაროებიდან. ამის გათვალისწინებით, ინდიკატორის 3.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ზსდ-მ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სამუშაო ვერსია, რომელითაც დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება მოიცავს ისეთ პირობებს, როგორებიცაა პროფესიული სტუდენტის და ზსდ-ს უფლებები და მოვალეობები, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლის საფასური, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტების უფლებები და ვალდებულებები შესაბამისობაშია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებთან, ასევე არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობასთან. მაგალითად, ზსდ-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტის უფლება მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები ზსდ-ს და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაშია მარეგულირებელ დებულებასთან, მობილობით სარგებლობის უფლება შესაბამისობაშია და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 43-ე მუხლთან, ხოლო ვალდებულებები: არ დაანაგვიანოს სასწავლებლის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები გამომდინარეობს დაწესებულების შინაგანაწესიდან. ზსდ-ს ხელშეკრულების ნიმუშში გათვალისწინებული აქვს არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკაც და ითვალისწინებს არასრულწლოვანი 3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებინ რომლებიც დაწესებულებას გაწერილი აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების” 47.20 პუნქტში, რომელიც განსაზღვრავს შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურას, კერძოდ თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება ან/და შეფასების პროცესის მიმდინარეობა არასამართლიანად ჩათვალა, მან შეფასების შედეგების გაცნობიდან ან/და შეფასების განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა მიმართოს დირექტორს და მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების ხელმეორედ ჩატარება ან შეფასების გადასინჯვა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი საჩივრის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის/პრეტენზიის/პრაქტიკული შეფასების შედეგების განხილვას პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეხვედრაზე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, დირექტორის ბრძანებით 1 სამუშაო დღის ვადაში იქმნება სააპელაციო კომისია. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და შეძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხოლო ამავე დებულების 47.2 პუნქტით კი განსაზღვრულია შეფასების სახეები და პროცედურა. აღნიშნული წესი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება საჯარო წყაროებიდან. **ამის გათვალისწინებით, ინდიკატორის 3.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ზსდ-მ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სამუშაო ვერსია, რომელითაც დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება მოიცავს ისეთ პირობებს, როგორებიცაა პროფესიული სტუდენტის და ზსდ-ს უფლებები და მოვალეობები, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლის საფასური, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტების უფლებები და ვალდებულებები შესაბამისობაშია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებთან, ასევე არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობასთან. მაგალითად, ზსდ-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტის უფლება მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები ზსდ-ს და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაშია მარეგულირებელ დებულებასთან, მობილობით სარგებლობის უფლება შესაბამისობაშია და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 43-ე მუხლთან, ხოლო ვალდებულებები: არ დაანაგვიანოს სასწავლებლის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები გამომდინარეობს დაწესებულების შინაგანაწესიდან. ზსდ-ს ხელშეკრულების ნიმუშში გათვალისწინებული აქვს არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკაც და ითვალისწინებს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერის ველსაც. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას ხელშეკრულებით, არც მისი დანართით გათვალისწინებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. ზსდ-ს ხელშეკრულებაში უდევს 7.3 პუნქტი, რომელიც გულისხმობს: ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი აცხადებს თანხმობას, რომ ზსდ-ს წესდებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის, პროფესიული სტუდენტის სასწავლო და დასაქმების მიზნებით, უფლებამოსილია დაამუშავოს ან მესამე პირს გააცნოს/გადასცეს პროფესიული სტუდენტის პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც ზსდ-ს მიღებული აქვს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ან სასწავლო პერიოდში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემები წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რომელთა დამუშავებაც მიმდინარეობს განსხვავებული წესით (მუხლი 7). აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მხრიდან არ ხდება 5.2.1.3 ინდიკატორის (დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას) შემოწმება, არასრულწლოვნის უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესის გათვალისწინებით ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დაწესებულებისთვის მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია: <u>სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულების 7.3 პუნქტის განვრცობა/კორექტირება, იმგვარად, რომ გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 მუხლი და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ სტუდენტის ხელშეკრულების 7.3 პუნქტში დაემატოს არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე თუ პირი 16 წელს მიუღწეველია, ასევე დაწესებულებამ დააკონკრეტოს რა მონაცემს ამუშავებს და როგორ.</u> **მიუხედავად ამისა, ინდიკატორი 3.1.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. ზსდ-ს შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ზსდ-ს მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 71-ე მუხლის მიხედვით ინდივიდუალურ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში შესაძლებელია მონაწილეობდეს სპეციალისტი სსსმ/შშმ პირის საჭიროების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროგრამის დასრულება გონივრულ ვადებში, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წინაპირობების, ან პროგრამით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს. თუ ზსდ და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მას უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობითა და ზსდ-ის მიერ დადგენილი წესით. აღნიშნული მექანიზმით ზსდ-ს გათვალისწინებული აქვს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა და იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებს, **შესაბამისად ინდიკატორის 3.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება და სხვა მარეგულირებელი წესები;
2. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
3. ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია;
4. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 4 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 პროფესიული განათლების კოორდინატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად იქნება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელიც. დაწესებულებას ჰყავს სამეურვეო საბჭოს მიერ მეორე ვადით არჩეული დირექტორი (ხელშეკრულება 2023 წლის 18 ოქტომბრის შრომითი ხელშეკრულება, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე). დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალისა და განმახორციელებლების ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (იგივე, სამუშაო აღწერილობა) (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის №01-02/11 ბრძანებით). ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ადმინისტრაციულ პერსონალს და პროგრამის ხელმძღვანელს მათი კვალიფიკაციის ფარგლებში გადანაწილებული აქვთ ფუნქციები, მაგალითად ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი, თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვა. პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქციებია მიმდინარე სასწავლო პროცესის კოორდინირება, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის უზრუნველყოფა (კონსულტაცია) მისი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით და სხვა. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესს, შეადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების ინდივიდუალური დატვირთვის ფორმებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დასაქმებული პირები ნაწილობრივ იცნობენ მათ ფუნქციებს. დაწესებულებას ინტეგრირებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით არ აქვს განახლებული სკოლის სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნები. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დაგეგმა ამ დოკუმენტის გადახედვა და გადამტკიცება - „ა.ა. ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა“, რომლის ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის ოქტომბერი, **აღნიშნულზე დაყრდნობით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისობაშია** და <u>დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.</u>

2. ზსდ-ს დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულებებით ჰყავს დაკავებული 4 ადმინისტრაციული და 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორისაა 1 ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 პროფესიული განათლების კოორდინატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტი და 1 პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებას დაკავებული ყავს 10 ინტეგრირებული მოდულის და 2 დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად იქნება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელიც. დაწესებულებას ჰყავს სამეურვეო საბჭოს მიერ მეორე ვადით არჩეული დირექტორი (ხელშეკრულება 2023 წლის 18 ოქტომბრის შრომითი ხელშეკრულება, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე). ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები შეთავსებული აქვს დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 18 საათს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ ავლებს ზღვარს დასაქმებულთა საქმიანობებს შორის. თუმცა, დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კადრები ნაწილობრივ იცნობენ მათ ფუნქციებს. დოკუმენტურად, ზსდ-ს დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, <u>თუმცა დაწესებულებას ეძლევა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს დასაქმებულებთან დამატებითი გასაუბრების ჩატარება მათთვის პროფესიული განათლების სპეციფიკის გაცნობის მიზნით ან დაუგეგმოს შესაბამისი ტრენინგები პროფესიული განათლების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით.</u> **მიუხედავად ამისა, ინდიკატორის 4.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ზსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. დაწესებულების ექსპერტთა მხრიდან შემოწმდა ხარისხის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები, დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №01-02/7 ბრძანებით) და განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება, რის საფუძველზეც არ გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი ხარისხის მენეჯერის ფუნქციებთან. კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციაა შეფასების პროცესის ვერიფიკაციის განხორციელება (2025 წლის 10 ივნისის №01-02/11 ბრძანებით), ხოლო მარეგულირებელი დებულების 47.24 ქვეპუნქტის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას კი ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი (დებულება პუნქტი 47.11), რომლის შემადგენლობაში არ შედის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. **ამგვარად ინდიკატორის 4.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დასაქმებულის ფუნქციები;
2. წესდება;
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და მის მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის (დამტკიცებული სკოლის სამეურვეო საბჭოს შესაბამისად. სამუშაო დრო შინაგანაწესით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორშაბათი-პარასკევის ჩათვლით, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო 13:00-14:00 საათი განსაზღვრულია შესვენების დროდ. შესვენების დრო არ ითვლება სამუშაო დროში, სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 25 საათს. ზსდ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხავს დასაქმებულის სამუშაო დროს შესაბამისი ჟურნალის საშუალებით. შინაგანაწესით ზსდ-ს განსაზღვრული აქვს შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შინაგანაწესით განსაზღვრულია შვებულებით სარგებლობის წესი (24 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება, ხოლო მინიმუმ 15 კალენდარული დღე არაანაზღაურებადი შვებულება). შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესიც. დასაქმებულებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები იცნობენ შინაგანაწესს, იციან მათი უფლებები. დაწესებულებას საქმეში წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ამ გეგმის ა.გ. ქვეპუნქტის შესაბამისად სკოლა გეგმავს შინაგანაწესის დოკუმენტის გადამუშავებას, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა თაობაზე მარეგულირებელი საკითხების გამიჯვნის მიზნით. სკოლას შინაგანაწესით არ აქვს განსაზღვრული საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობები: ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოფენობა და გაცემის წესი, დასვენების დღეები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.2 მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.** <u>დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, გადახედოს შინაგანაწესს, უზრუნველყოს მასში საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული უახლესი ცვლილებების ასახვა, დოკუმენტში გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, განახორციელოს დოკუმენტში პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის ინკორპორირება, განსაზღვროს იმ მასწავლებლების მაქსიმალური კვირეული სამუშაო დატვირთვა, რომლებიც ითავსებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს (მაგალითად შეზღუდოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იმგვარად, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებულმა პირებმა მოახერხონ თავიანთი ადმინისტრაციული ფუნქცია-მპოვალეობების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულყოფილად განხორციელება). ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

2. ზსდ-ს პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №01-02/7 ბრძანება) ითვალისწინებს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ პოლიტიკის მე-6 მუხლით ზსდ-ში პერსონალის შერჩევის დაგეგმარების პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს მოცემულ მომენტში ზსდ-ში წარმოქმნილი საკადრო დეფიციტი, ახალი პერსონალის დაქირავების აუცილებლობა, პერსონალის შეფასების შედეგები. დაწესებულება კადრის შერჩევის მიზნით განსაზღვრავს ორ გზას: (1) ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან და (2) ღია კონკურსის გამოცხადებით, რაც გულისხმობს საკადრო მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვას. ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში ზსდ ვაკანსიას აცხადებს მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერძე, სოც. ქსელებში, ვებ. გვერდზე ან მიმართავს დასაქმების სააგენტოს. კადრის შერჩევის მიზნით ზსდ-მ შესაძლოა გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი - გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს დაწესებულებაში კვალიფიციური კადრების მოზიდვას ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** მიუხედავად ამისა, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს დოკუმენტს, გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები, დოკუმენტს დაუმატოს სარჩევი, თავფურცელზე დაამატოს დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და სხვა საჭირო რეკვიზიტები, ასევე დააკონკრეტოს იმ პლატფორმის მისამართი, რომელზეც აცხადებს ვაკანსიებს მასწავლებლების მოზიდვის მიზნით.

3. ზსდ-ში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ზსდ-ს მიერ ადგილზე წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულება მის მიერ დამტკიცებულ ფუნქცია-მოვალეობებში (2025 წლის 10 ივნისის №01-02/11 ბრძანებით) განსაზღვრავს, რომ ხარისხის მართვის მენეჯერს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი, ხოლო სასწავლო პროცესის კოორდინატორს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პროცესების სპეციფიკის ცოდნა. ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის წარმოდგენილი დოკუმენტების საფძველზე დაკმაყოფილებულია სამუშაო აღწერილობებში წარმოდგენილი დიპლომებით უდასტურდებათ მოთხოვნილი კომპეტენცია, თუმცა კადრებთან პირადად გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებისთვის პროფესიული განათლება არის ახალი სფერო, არ აქვთ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნა. ამასთან ეს ადამიანები ამავდროულად არიან ზოგადი განათლების მასწავლებლებიც, რომლებსაც აქვთ კვირეული დატვირთვა, 18 საათი. კვალიფიკაციის დადასტურება სკოლას გაუჭირდა დარგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებით წარმოდგენილი მასწავლებლების მიმართაც. დასაქმებულებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების თანამშრომლებს არ აქვთ შესწავლილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ფუნქცია მოვალეობებში არ არის განსაზღვრული ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლითაც შესაძლოა დარგის სპეციალისტს, კერძოდ გრაფიკულ დიზაინერს კვალიფიკაცია შესაძლოა დაუდასტურდეს მისი ნამუშევრების პორტფოლიოს საშუალებით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №01-02/9): ა.ბ. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, განაწილება თანამშრომლეთა ჩართულობით/გაცნობის უზრუნველყოფა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 4.1.2.3 მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.** <u>დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, გადახედოს ფუნქცია-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვროს არსებული რესურსის გათვალისწინებით, მაგალითად ხარისხის მართვის მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოიღოს მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნა, დარგის სპეციალისტებს მისცეს საშუალება, რომ კვალიფიკაცია პორტფოლიოს საშუალებით დაუდასტურდეთ, ან გადაამზადოს არსებული კადრები (შეიმუშაოს დასაქმებულთა გადამზადების გეგმა) სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად ან უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების გადამზადება გეგმით განსაზღვრულ ვადებში.</u>

4. დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა (დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №01-02/7 ბრძანება), რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, მიზანშეწონილობა, გამჭვირვალობა, პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ორიენტაცია. დაწესებულების ღირებულებებს წარმოადგენს კოლეგიალობა და გუნდური მუშაობა, სამართლიანობა და თანასწორობა, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა. ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა სამუშაო პროცესს და გასაუბრებოდა პერსონალს. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ პასუხისმგებლობით და ერთმანეთთან კოორდინირებულად. დაწესებულებაში ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სამუშაო ეხმიანობა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ღირებულებებს, როგორებიცაა გამჭვირვალობა და თანამშრომლობა. **შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. წინარე ხელშეკრულებები;
3. პერსონალის მართვის პოლიტიკა;
4. ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;
5. შინაგანაწესი;
6. პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის N01-02/8 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რასაც ადასტურებს მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი. მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. დაწესებულებამ პროფესიული პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ დანერგვის მიზნით ჩაატარა შეხვედრები საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რის ფარგლებშიც მოსწავლეთა ნაწილმა გამოხატა დაინტერესება პროფესიული განათლების მიღების მიმართ. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ ჩანს დაწესებულების მიერ მოკვლეული სხვა საკითხები, როგორიცაა ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე შესწავლა/მოკვლევა, არსებობს თუ არა მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იკვეთება თუ არა კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება, დაწესებულების მიერ ჩატარებულია თუ არა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა და გამოიკვეთა თუ არა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება, პროგრამა ხორციელდება თუ არა სხვა დაწესებულების მიერ, რითი იქნება სკოლის მიერ განხორციელებული პროგრამა განსხვავებული სხვა სკოლებისგან, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ და სხვა.

აღნიშნულზე დაყრდნობით 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, <u>თუმცა დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს შისწავლოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები.</u>

2. „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო საფეხურის 10 კლასის დაძლევა. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული განათლების დაშვების წინაპირობის გარდა, დაწესებულებას სხვა დამატებითი პირობა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით არ გააჩნია. “გრაფიკული დიზაინის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადა 76 სასწავლო კვირაა. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამდენად, **ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 72-ე პუნქტი განსაზღვრავს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას, როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C სასწავლო გარემოს არსებობას, ინფრასტრუქტურისა და რესურსების გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 1 აუდიტორია, სადაც მოეწყობა A და B გარემო ერთად და C გარემო, სადაც მოეწყობა სამხატვრო სალონი. აღნიშნული აუდიტორია განკუთვნილი იქნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, თეორიული და პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება ლაბორატორიას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ განხორციელებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოიყენება კიდევ ერთი სასწავლო აუდიტორია, რომელიც საზიარო იქნება სკოლის მოსწავლეებთან. სკოლას ასევე აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც გამოიყენება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „სპორტის“ განხორციელებისათვის. სპორტული დარბაზისა გამტარუნარიანობა შესაძლებლობას იძლევა სასწავლო ცხრილების დატვირთვა გამოყენებულ იქნეს, როგორც სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისათვის.

აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სკოლა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობას;
2. A/B სასწავლო გარემოს/თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცის გამტარუნარიანობას;
3. სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობას;
4. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამტარუნარიანობას.

აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კვოტა ჯამში განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულება გეგმავს 1 მიღებაზე, წელიწადში 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ხოლო პროფესიული მოდულებისათვის, ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროფესიული მოდულისთვის - ,,ვექტორული გრაფიკა CorelDRAW", ,,ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა", ,,UI/UX პრინციპები და შესავალი" და ,,გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და 3 განზომილებიან გრაფიკაში" - მითითებული სასწავლო რესურსი არ არის შესაბამისობაში მოდულებში მითითებული სწავლის შედგების თემატიკასთან. რაც შეეხება შემდეგ პროფესიულ მოდულებს - ,,2D ანიმაციის პრინციპები" და ,,თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში" - მითითებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე სახელმძღვანელოების შესაძენი ლინკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზებას და განვითარებას უზრუნველყოფს 2025 წლის 1 დეკემბრამდე. ამდენად, **ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას ეძლევა** შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, „გრაფიკული დიზაინი“ არჩევითი მოდულები არ აქვს. ამდენად, **ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

6. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის „საჯარო სკოლის წესდების“ 21-ე მუხლის, ამავე წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №01-02/8 ბრძანებით. ამდენად, **ინდიკატორი 2.1.1.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „გრაფიკული დიზაინი“ რომელიც ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანამანთლებლო სტანდარტის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
4. პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
7. ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „გრაფიკული დიზაინი“ ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტ სოფელ თხილნარში. სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი/სასწავლო გარემო პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში 30 სტუდენტი). პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. ასევე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდული, „სპორტი“ მოიცავს კალათბურთისა და ფრენბურთის კომპონენტებს. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები - A, B და C გარემოები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას არ გააჩნია, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელის საბოლოო ვადა განსაზღვრულია 2025 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით. წარმოდგენილი მოთხოვნილი (დანართი №27) მატერიალური რესურსი საკმარისია სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის #41 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის, რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.

2.პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 12 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე. ამდენად, **დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.**

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის №01.02.38 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით. რაც შეეხება ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმახორციელებელი პირები საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №41 ბრძანებით, სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში;**

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ,,გრაფიკული დიზაინი" ჰყავს ,,ფოტოგრაფიის" პროფესიული მომზადების პროგრამის კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის №01.02/38 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტების პროგრამის ხელმძღვანელთან დისტანციური გასაუბრებით ვერ დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, არ იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, თუმცა არის ფოტოგრაფიის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. დისტანციური გასაუბრების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელს მიეცა რეკომენდაცია ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი პროფესიული მოდულის - ,,რასტრული გრაფიკა 1"-ს განხორციელების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.4.-ის მოთხოვნასთან, რომ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის ერთი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, მოამზადოს/გადაამზადოს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების თემატიკის და პროგრამაში მითითებული გრაფიკული პროგრამების ცოდნის გაღრმავების მიმართულებით.**

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი არ არის ხელმისაწვდომი ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ნაწილი ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომლის ელექტრონულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (მატერიალური, ელ. რესურსი) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, ხოლო, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელბლად - არასაკმარისია, თუმცა, დაგეგმილია საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მობილიზება და განვითარება, რისთვისაც, სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №41 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საგანმანათლებლო რესურსების მოძიების/თარგმნისთვის გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ამდენად, **დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განახორციელოს დაგეგმილი აქტივობა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.**

6. სიპ -მინიდა აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (№01.02/38 2025 წელი) არეგულირებს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და ადმინისტრირების პროცედურები. ამასთან, სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობასა და ადაპტაციასთან დაკავშირებით. ამდენად, **ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
4. ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
5. გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამისა და მისი განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული პროცესების მართვა დამყარებულია ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლზე და მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც მონაცემების შეგროვება-ანალიზს, რაც თავის მხრივ გულისხმობს: პროცესში ჩართული და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით, ისე პროგრამის განხორციელებისა და სტუდენტთა მიღწევების შედეგების ანალიზს.

პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მონიტორინგის პროცედურა, რომლიც დროსაც ასევე მოხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან/და გაუმჯობესება. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკითხები, რომლებიც ექვემდებარება მონიტორინგს, ესენია: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება; სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის შეფასება; საგანმანათლებლო რესურსები და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სწავლის შედეგის მიღწევის და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია; დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების და მათი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის კვლევა; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის კვლევა. გამოკითხვისა და შეფასების განხორციელების მიზნით, ამ ეტაპისთვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი ანკეტის/შეფასების ფორმები: „სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა“, „მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი“, „მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ“, „კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი“, „ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი“. პროცედურით განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები (ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი). მონიტორინგი განხორციელდება წინასწარ, დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. გამოკითხვისა და მონიტორინგის ანალიზის შედეგები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ, რის საფუძველზეც შემუშავდება პროგრამის/პროცესების განვითარების რეკომენდაციები. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ასევე წლის განმავლობაში, პროგრამის შეფასების შესახებ, შუალედური და საბოლოო ანგარიშის მომზადება. შემუშავებული ანგარიშები წარედგინება დირექტორს და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება პროცესების გაუმჯობესების ღონისძებების შესახებ. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.**

2. დაწესებულებას პროცედურით განსაზღვრული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის ყველა კრიტიკული პროცესის მონიტორინგი და შეფასების შედეგების/შეგროვებული მონაცემების ანალიზის, ანგარიშგების, განხილვის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები. დებულების თანახმად, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის დამტკიცების პროცედურების ანალოგიურად. პროცედურით განსაზღვრულია, ცვლილების ინიცირების, განხილვის, შეთანხმების წესები. დებულებაშივეა განსაზღვრული ის ცვლილებები, რომლებიც დაწესებულების მხრიდან დასაშვებია და განხორციელებული ცვლილების შესახებ დაინტერესებული მხარეების/მაკონტროლებელი ორგანოების ინფორმირების ვალდებულება დაწესებულების პერსონალის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად მოეწყობა შეხვედრები, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების მიმდინარე საკითხები, მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ -მინიდა აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ (№01.02/38 2025 წელი);
2. სსიპ -მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (2025 წლის 6 ივნისის №01.02/38);
3. სსიპ -მინიდა აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის „ინტეგრირებული მოდულების შეფასების წესი“ (2025 წლის 6 ივნისის №01.02/38;
4. სსიპ -მინიდა აბაშიძის სახელობის ,,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის „შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია“ (09/06/2025 წლის ბრძანება № 01/02/39);
5. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „გრაფიკული დიზაინი“ თან ახლავს სასწავლო გეგმები პროგრამის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელების და ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ინტეგრირებული მიდგომით. სწავლის ხანგრძლივობა წარმოდგენილი გეგმებით შეადგენს: კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 118 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 88 კრედიტი, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 148, ხოლო კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 118 კრედიტი. სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების განხორციელებისთვის ლოგიკური თანმიმდევრობა და დადასტურების/განმეორებითი დადასტურებისთვის ვადები. ექსტერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებთან განხორციელებული დისტანციური გასუბრებით, მათ დაუდასტურდათ მხოლოდ პროფესიული მოდულების - ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება” და ,,რასტრული გრაფიკა 1” სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია. რადგან დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული აქვს ადამიანური რესურსის მოძიება 2025 წლის 1 დეკემბრამდე, ამიტომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში შეიტანოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილება და სწავლა დაიწყონ ინტეგრირებულ მოდულებთან ერთად შემდეგი პროფესიული მოდულებით ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება" და შემდეგ - ,,რასტრული გრაფიკა 1". სასწავლო გეგმის ხანგრძლივობა შესაბამისია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის №95/ნ ბრძანებისა „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ". **ინდიკატორი 2.4.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, თუმცა დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში ცვლილების შესახებ.**

2. დაწესებულების მიერ, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების შესაძლებლობების შეფასების მიზნით, განხორციელდა ინტერვიუ პერსონალთან, რითიც დადასტურდა დაწესებულების პერსონალის გამოცდილება და პრაქტიკა, ამგვარ გარემოებებში სასწავლო პროცესის ორგანიზებისა. მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების დაცვითა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დაწესებულების სხვა პერსონალის/ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას, საჭიროებისას გარეშე პირების მოწვევას. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი. შეიძლება შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები. საჭიროების შემთხვევაში სკოლაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სასაწავლო გარემო. **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ ინდივიდუალური წვდომა საგანმანთლებლო მასალებთან/ელექტრონულ რესურსებთან, შესაბამისი პარამატრების მქონე კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან. ასევე, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციფიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება საჭიროების შემთხვევაში. ამისთვის დაწესებულებას აღწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა (მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში), რომლის თანახმადაც, სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი/პარტნიორი ორგანიზაცია. **ინდიკატორი 2.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ევაკუაცია. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და სარგებლობს დაცვის თანამშრომლის 24 საათიანი მომსახურებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში, როგორც სასწავლო, ასევე სამუშაო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში. **<u>ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა დაწესებულებას მიეცა განმავითარეველი რეკომენდაცია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიმუშავოს სასწავლო ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესი და ეს წესი განათავსოს ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
4. უსაფრთხოების ზოგადი წესები;
5. ინტერვიურებით

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები, რომლის შესაბამისადაც სკოლა უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების ორგანიზებას. რეგულაციის შესაბამისად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, ხოლო შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. ამისათვის სკოლა განახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას, გეგმიურ ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა. ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც დაეხმარება დაწესებულებას ვერიფიკაციის პროცესის მართვაში. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილი აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ ინახება არქივში 5 წლის ვადით, ხოლო შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის/გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისის ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება მტკიცებულებებით:

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
2. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. სასწავლო პრცესის მარეგულირებელი წესი (10.07.2025 წლის N01-02/11 ბრძანება)

თარიღი: 25.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: